

ბიბლია

ლაშრა ბრიგოლაშვილი

ბიბლია წიგნთა წიგნია. კაცობრიობა ამ წიგნში ეძებდა პასუხს გლობალურ კითხვებზე: როგორ წარმოიშვა სამყარო? როგორ გაჩნდა სიცოცხლე? ვინ ვართ ჩვენ? საიდან მოვდივართ? რა ზნეობრივ-მორალური კატეგორიებით უნდა იცხოვროს ადამიანი?

ბიბლიაში ბევრ კითხვაზე შეიძლება პასუხის პოვნა, ოღონდ თითოეული იმდენს ითვისებს, რამდენის მისაღებადაც თვითონ არის მზად.

ბიბლია ბერძნული სიტყვაა და წიგნს ნიშნავს. უფრო ზუსტად, ბერძნები ბიბლოს (*βιβλος*) უწოდებდნენ პაპირუსს, ეგვიპტურ მცენარეს, რომლისგანაც საწერ მასალას ამზადებდნენ. მასზე დაწერილ წიგნს ეწოდებოდა ბიბლიონ (*βιβλίον*). შემდეგ *βιβλος* ეწოდა ყველა წიგნს, მათგან გამოსარჩევად კი ბიბლიურ წიგნს დაურთეს განმსაზღვრელი ეპითეტი – წმიდა. ესაა წიგნი, რომელმაც დაიკანონა წოდება წმიდა წიგნისა, წმიდა წერილისა.

როდის შეიქმნა ბიბლია, რა ენაზე დაიწერა, რა შედგენილობისაა – აი კითხვები, რომელთაც პირველ რიგში უნდა ვუპასუხოთ.

ბიბლია შედგება სხვადასხვა ავტორის სხვადასხვა დროს დაწერილი წიგნებისგან. ის მოიცავს ორ მთავარ ნაწილს: ძველ აღთქმასა და ახალ აღთქმას. ძველი აღთქმა შექმნილია XII (ქრისტემდე) – II (ქრისტეს აქეთ) საუკუნეებში, ძირითადად ებრაულ ენაზე, ახალი აღთქმა კი ქრისტიანულ ეპოქაშია დაწერილი ბერძნულ ენაზე.

ძველი აღთქმა გულისხმობს შეთანხმებას, კავშირს ღმერთსა და რჩეულ ებრაელ ხალხს შორის, ახალი აღთქმა კი ახალი კავშირია ღმერთსა და კაცობრიობას, ღმერთსა და თითოეულ ადამიანს შორის.

ვინ იყვნენ ებრაელები და რატომ გამოარჩია ისინი ღმერთმა? ძველად ებრაელები ეწოდებოდათ დასავლეთ-სემიტური მოდგმის ერებს, რომლებიც XVI-XIV საუკუნეებში (ქრისტემდე) შუამდინარეთის სანახებიდან ჩრდილო-არაბულ ნახევარუდაბნოში ჩამოსახლდნენ. იბრემ – როგორც უწოდებდნენ თავის თავს ებრაელები, ნიშნავს მდინარის გადაღმიდან მოსულს.

XIII ს-ში (ქრისტემდე) ებრაელები დამკვიდრებულან მკვდარი ზღვის მახლობლად, პალესტინაში, სადაც ისინი შერევიან იქაურ მოსახლეობას და



მოქვის სახარება, XIII ს.



ლაილამის ბიბლია, X-XI ს.



მოსე, 1515, ავტორი: მიქელანჯელო ბუონ-აროტი, სან პიეტრო ინ ვინკოლი, რომი.

დაუსვამთ კითხვა: რა ენაზე ესაუბრება ღმერთი მოსე წინასწარმეტყველს? რელიგიური ისტორიოგრაფია გვპასუხობს: ღმერთის ენა ის ზეადამიანური იდიომაა, რომლითაც ღმერთი ანგელოზებს ესაუბრება.

წინასწარმეტყველთა წიგნებს დიდი და მცირე ენოდან იმის გამო, რომ მათი წინასწარმეტყველებანი მოცულობით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ზოგი დიდია, ზოგი კი – მცირე.

შეუქმნიათ თავიანთი სახელმწიფო. ებრაელებმა ერთგვარად დააგვირგვინეს ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაცია, როგორც ამ დიდი კულტურის ერთ-ერთმა უძველესმა წარმომადგენლებმა. აღსანიშნი ისიც არის, რომ მთელი მათი კულტურა მოქცეულია ერთ დიდ წიგნში – ბიბლიაში და მოიცავს ძველი ქვეყნების ისტორიას, მსოფლალქმასა და ესთეტიკურ მიმართებას სამყაროსადმი. უძველესი დროიდან მოკიდებული ბიბლია კაცობრიობასთან ერთად დღესაც ცოცხლობს. ის შემაერთებული ხიდია ძველ ცივილიზაციებსა და ახალ ცივილიზაციას შორის.

ბიბლიური გადმოცემით, ებრაელები ეგვიპტელთა მონობიდან ღვთის მონოდებით დაიხსნა მოსე წინასწარმეტყველმა, რომელიც შეიქნა მათი რელიგიური მოძღვარი, პოლიტიკური ბელადი, დამფუძნებელი ძველი აღთქმის მონოთეისტური რელიგიისა*. როგორც ძველი აღთქმა მოგვითხრობს, ღმერთმა იხმო მოსე და ამცნო მას: „და ან უკუეთუ სმენით ისმინოთ ჳმისა ჩემისა და დაიცვათ აღთქუმაჲ ჩემი, იყვნეთ ჩემდა ერი საზეპუროჲ ყოველთაგან ნათესავთა, რამეთუ ჩემი არს ყოველი ქუეყანაჲ“ (გამოსლვ. 19,5). ხალხმა უფალს აღუთქვა ყოველივეს შესრულება და ღმერთმა მოსეს სინას მთაზე ორი ფიქალი (დაფა) უბოძა, რომელზედაც ათი მცნება („დეკალოგი“), ზნეობრივი ცხოვრების 10 წესი იყო განსაზღვრული. მის შემდეგ წინასწარმეტყველმა სამსხვერპლოზე შეწირული ხარების სისხლი აპკურა ხალხს და უთხრა: „აჰა სისხლი აღთქუმისა, რომელი აღთქუმა-ყო ღმერთმან თქუენდა მიმართ ყოველთა ამათ სიტყუათათჳს“ (გამოსლვ. 24,8).

უფალი რჩეულ ებრაელ ხალხს ჰპირდებოდა აღთქმულ ქვეყანას, რომელიც დაკარგული სამოთხის მსგავსი იქნება. ასე ჩამოყალიბდა ებრაელი ხალხის ღვთისაგან გამორჩეულობის იდეა. გამორჩეულობის სტატუსი ებრაელებს მიენიჭათ იმის გამო, რომ ღმერთმა გამოარჩია და გამოიხსნა ისინი განსაცდელისგან.

ძველი აღთქმა შეიცავს 51 წიგნს და იყოფა სამ ნაწილად: კანონი, წინასწარმეტყველები და დაწერილები.

პირველ ნაწილში, რომელსაც ხუთწიგნეული (ხუმაში), კანონი (თორა) ეწოდება და მიეწერება მოსე წინასწარმეტყველს, მოთხრობილია ქვეყნისა და ადამიანის გაჩენის შესახებ, ადამისა და ევას ცოდვაზე, სამოთხიდან მათ განდევნაზე, ებრაელი ხალხის ცხოვრებაზე პალესტინაში.

მეორე ნაწილში გაერთიანებულია 4 დიდი და 12 მცირე წინასწარმეტყველის წიგნები. ამ წიგნებში მხილებულია კაცთა მოდგმის ცოდვები. ეს მხილება ერთგვარ გაფრთხილებადაც გაისმის მოსალოდნელი სასჯელის შესახებ, თუ ებრაელები არ დაიცავდნენ ღვთის მცნებებს.

* მოსე წინასწარმეტყველის პიროვნებით შთაგონებულმა არაერთმა ხელოვანმა ასახა იგი თავის შემოქმედებაში. გავიხსენოთ მიქელანჯელოს მოსე, ვ. როსინის ოპერა „მოსე ეგვიპტეში“, ა. შონბერგის „მოსე და აარონი“ და სხვ.

მესამე ნაწილი აერთიანებს სხვადასხვა ჟანრის წიგნს სხვადასხვა ავტორისა. ამ წიგნებს განსაკუთრებული მიზიდულობის ძალა ჰქონდათ ძველადაც და დღესაც. ეს წიგნებია: დავით წინასწარმეტყველის „ფსალმუნები“, სოლომონ ბრძენის „იგავნი“, „ეკლესიასტე“ და „ქება ქებათაჲ“, იობის წიგნი, ესთერის წიგნი, ივდიითის წიგნი და სხვ. ყურადღება გავამახვილოთ ზოგიერთ მათგანზე:

ფსალმუნნი (ქართულად – დავითნი) ბიბლიის, ძველი აღთქმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წიგნია. ებრაული ტრადიცია ამ წიგნს ქების, დიდების წიგნს უწოდებს, რადგან ფსალმუნთა უმეტესობა დვითის სადიდებლად წარმოთქმული საგალობლებია. ბერძნულ ენაზე თარგმნილ ბიბლიაში კი ამ წიგნს **ψάλτεριον** (ფსალტერიონ) ეწოდება. ამ ტერმინით აღინიშნებოდა სიმებიანი საკრავი, ათ- ან თორმეტსიმებიანი ქნარი, რომლის თანხლებითაც სრულდებოდა ებრაულ საგალობელთა უმრავლესობა.

ფსალმუნთა წიგნში გაერთიანებულია ასორმოცდაათი („ასერგასისი“) ფსალმუნნი. აზრთა სხვადასხვაობა საგალობელთა ავტორის ვინაობაზე. ზოგი საეკლესიო მოღვაწე 150-სავე საგალობელს დავით წინასწარმეტყველს მიაკუთვნებს, ზოგიერთი კი ფიქრობს, რომ ფსალმუნები სხვადასხვა ავტორის მიერაა შექმნილი. მთავარი მაინც ის არის, რომ დავით წინასწარმეტყველი ცენტრალური ფიგურაა ამ საგალობლებისა. სხვები მას ჰბაძავენ, მის კვალს მიჰყვებიან, მის სულისკვეთებას გამოხატავენ.

ფსალმუნები თავისი ზოგადი შინაარსით ეხმიანება დავით წინასწარმეტყველის ცხოვრების გზას, დაწყებულს სამუელ წინასწარმეტყველის მიერ და-



ფსალმუნნი, სამუელ წინასწარმეტყველი მირონს აცხებს დავითს.

მეფე დავით მეფსალმუნე

ფსალმუნის მკითხველი გოდების კედელთან, იერუსალიმი, 2007.





მეფე სოლომონისა და საბას დედოფლის შეხვედრა, 1452-1466, ავტორი: პიერო დელა ფრანჩესკა, სან ფრანჩესკოს ბაზილიკა, არეცო, იტალია.



ბერძნული ოთხთავი, იოანეს სახარების დასაწყისი, XII ს.

ვითის მირონცხებით, დამთავრებულს მისი მეფობის უკანასკნელი წლებით. თუმცა დიდი საეკლესიო მოღვაწის, გრიგოლ ნოსელის (ახ.წ. 335-394) თქმით, „ფსალმუნთა“ კომპოზიცია არ არის დაფუძნებული ისტორიულ მოვლენათა ქრონოლოგიურ თანმიმდევრობაზე, არამედ სათნობათა ასახვით წარმოაჩენს ადამიანის ამაღლებას ღმერთამდე. ამიტომ იქცა დავითი რენესანსის ეპოქის შემოქმედთათვის (მიქელანჯელო, დონატელო, ვეროკიო და სხვ.) შთაგონების წყაროდ.

ეკლესიის უდიდესი მამა ათანასე ალექსანდრიელი (ახ.წ. 297-373), „ფსალმუნთა“ ბრწყინვალე კომენტატორი, მიიჩნევს, რომ ფსალმუნთა უმთავრესი განმასხვავებელი ნიშანი წმ. წერილის სხვა წიგნებისგან ისაა, რომ მასში სასიმღერო ინტონაციითა და პოეტური ფორმით გამოხატულია თითქმის ყველა სხვა ბიბლიური წიგნის შინაარსი. ფსალმუნთა მეშვეობით ადამიანი შეიმეცნებს თავისი სულის მოძრაობას. ის ღმერთს ესაუბრება, გულს გადაუშლის მას, შენდობას შესთხოვს, აქებს, განადიდებს „სიტყვიერ მსხვერპლს“ გაიღებს მისთვის.

სოლომონ ბრძენს, დავით წინასწარმეტყველის შვილს, მიიჩნევენ სამი სოფიოლოგიური (სიბრძნისმეტყველებითი) წიგნის ავტორად. ეს წიგნებია: „იგავნი სოლომონისნი“, „ეკლესიასტე“, „ქებაჲ ქებათა“. ეს სამი წიგნიც გრიგოლ ნოსელს ესახება ერთგვარ კიბედ, რომლის მეშვეობით ადამიანი სრულყოფას აღწევს.

სოლომონის წიგნებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კაბადოკიელი მამა ბასილი დიდი (ახ.წ. 330-379). მისი გაგებით, იგავთა წიგნი ემსახურება ადამიანის ზნეობრივ აღზრდას, ეკლესიასტე მოგვიწოდებს ფუჭად, ამაოდ არ დავხარჯოთ სასიცოცხლო ძალები წარმავალი ცხოვრების წარმავალი ფასეულობებისთვის. „ქება ქებათა“ კი წარმოაჩენს სულიერი სრულყოფის გზას, რადგან გამოხატავს სიძისა და სძლის შეწყვილებას, ე. ი. ადამიანისა და ლოგოსის შეკავშირებას.

„ქებაჲს“ შინაარსს შეყვარებული წყვილის დიალოგი წარმართავს. ვაჟი წარმოდგება სიძედ, ის ხან მწყემსია, ხან – მევენახე, ხან – მეფე-გვირგვინოსანი (თვით სოლომონ მეფე); ქალი, შეყვარებული, სძალი კი ხან მწყემსი გოგონაა, ხან – ვენახის მცველი, ხან – მეფის ასული, ხან – დედოფალი. ურთიერთობაში ისინი ხან და-ძმად მიიჩნევენ ერთმანეთს, ხან – სიძე-პატარძლად, ხან – ცოლ-ქმრად. მათ გარდა პოემაში ჩანან პატარძლის მეგობარი ქალწულები და სიძის მეგობარი ვაჟები. ავტორი არსად ჩანს.

ქრისტიანულმა მსოფლალქმამ „ქებაჲში, როგორც შევნიშნეთ, დაინახა „სიძისა“ და „სძლის“ სიყვარული, რომელიც მიმანიშნებელია ქრისტესა და კაცობრიობის/ეკლესიის კავშირის საიდუმლოზე. მიიჩნევენ, რომ ამ წიგნში ყველა წინასწარმეტყველებაზე უფრო ნათლადაა წარმოდგენილი მესიის – ქრისტეს გაცხადების შესახებ. საღვთისმეტყველო მოძღვრებით, „ქებაჲ“ კი არ წინასწარმეტყველებს მესიის განკაცებაზე, არამედ წარმოგვიდგენს მას, როგორც უკვე განკაცებულს. „ქებაჲ“ ზემის, ნეტარების, სიხარულის გა-

მომხატველი წიგნია. ამ ნეტარებამ ათქმევინა სოლომონ ბრძენს ფრთიან გამოთქმად ქცეული სიტყვები: „მტკიცე არს, ვითარცა სიკუდილი, სიყვარული“ (ქებაი 8,6).

ქრისტიანობის აპოლოგეტებმა ძველი აღთქმა დასახეს ახალი აღთქმის მოსწავებად, ახალ აღთქმაში კი ძველი აღთქმის კომენტარებს ხედავდნენ. იუდაიზმი, რომელიც ძველ აღთქმას ეფუძნება, აღიარებს მხოლოდ ძველ აღთქმას, ქრისტიანობა კი – როგორც ძველ, ისე ახალ აღთქმას.

ახალი აღთქმა იესო ქრისტეს მოწაფეთა და მოციქულთა მიერ შეიქმნა. მასში გადმოცემულია მაცხოვრის მოძღვრება შემორჩენილი მის თვითმხილველთა მეხსიერებაში და განახლებული სულიწმიდის მიერ (იოანე 14, 26). ახალი აღთქმა 27 წიგნისაგან შედგება. ეს წიგნებია: სახარება (მისი შესატყვისი ბერძნული ტერმინია ევანგელე, რომელიც ქართულ ლიტერატურულ ტრადიციაშიც გვხვდება), იგივე ოთხთავი (რადგან სახარება ოთხია და დაწერილია ოთხი მახარებლის – მათე, მარკოზ, ლუკა და იოანეს მიერ), საქმე მოციქულთა, მოციქულთა ეპისტოლეები და გამოცხადება, ანუ აპოკალიფსისი იოანესი.

ამ წიგნებში მოთხრობილია იესო ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების შესახებ, ქრისტეს მოწაფეთა სამოციქულო ღვაწლზე, სამყაროს უკანასკნელ დღეზე. ოთხი მახარებლის წიგნებს ადარებდნენ სამოთხიდან მომდინარე ოთხ მდინარეს, რომლებიც რწყავენ ედემის ბაღს.

წყაროსთვის სახარება, X-XI სს. მათე, მარკოზი, ლუკა და იოანე მახარებლები.





ეთიოპიური ბიბლია, 1350-1450, ნაპოვნია გიზის უდაბნოს პლატოზე.

პეტრე მოციქული, ლათინური ბიბლია, 1407, მალმსბერის სააბატო, უილტშირი, ინგლისი.



პალესტინაში აღმოცენებულ რელიგიას ქრისტეს მონაფეები უქადაგებდნენ არა მხოლოდ ებრაელობას, არამედ წარმართებსაც. ამიტომ ეს რელიგია გავრცელდა რომის მთელ იმპერიაში. ქრისტეს მოციქულები სახარებას ავრცელებდნენ არა მახვილითა და შუბით, არამედ სიტყვითა და სიყვარულით.

საგულისხმოა, რომ მოციქულებს უწოდებდნენ მეთევზურებს, მეზადურებს, მესათხეველებს. მართალია, ქრისტეს მონაფეთაგან ზოგი მართლაც მეზადური იყო, მაგრამ მათ ეს სახელი შეერქვათ იმის გამო, რომ ღვთის სიტყვის მეშვეობით ადამიანთა გულებს აქცევდნენ ბადეში. აკი თვით მაცხოვარმა მოუწოდა მათ: „და ჰრქუა მათ: მოვედით და შემომიდეგით მე, და გყვნე თქუენ მესათხეველე კაცთა“ (მათე 4,19).

ახალმა აღთქმამ საფუძველი დაუდო ახალ წელთაღრიცხვას, რომელსაც ეფუძნება მთელი ევრო-ამერიკული ცივილიზაცია (სხვა წელთაღრიცხვა აქვთ მაგალითად, ჩინელებს, არაბებს). ახალმა აღთქმამ დაამკვიდრა ახალი გაგება ახალი ცხოვრებისა, ახალი ადამიანისა, ახალი გზისა, ახალი გალობისა. ეს ის ფასეულობებია, რომელთა მეშვეობითაც მყარდება კავშირი უზარმაზარი ევროპული სივრცის კულტურულ ხალხთა შორის.

მანინც რა არის ამ კულტურის საფუძველთა საფუძველი?

ახალი აღთქმა ახალი კავშირია ღვთისა და ადამიანისა. საღვთისმეტყველო სწავლებით, თუ ძველი აღთქმა, სინას მთაზე რომ დაიდო ღმერთსა და ისრაელს შორის, საქორწინო კონტრაქტია სამსხვერპლოზე მიტანილი შესანიშნის სისხლის შხეფებით ბეჭედდასმული, ახალი აღთქმა საქორწინო კავშირია, დაბეჭდილი იესო ქრისტეს სისხლით, რომლითაც ჯვარცმულმა მაცხოვარმა გამოისყიდა ცოდვითდაცემული კაცობრიობა. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ძველი აღთქმა მიანიშნებდა მორწმუნეებს საქორწინო ურთიერთობაზე ღმერთსა და მის რჩეულ ხალხს შორის: „და მოგიტხოო შენ თავისა ჩემისა საუკუნოდ, და მოგიტხოო შენ თავისა ჩემისა სარწმუნოებით, და იცნა შენ უფალი“ (ოსია 2, 19-20). მიიჩნევენ, რომ ესაა გულმხურვალე მონოდება, მოხმობა ეკლესიისა შეემეცნოს უფალს, გახდეს სძალი ქრისტესი.

„ქებათა-ქებათას“ კომენტატორებმაც, როგორც აღვნიშნეთ, ძველი აღთქმის ამ ყველაზე იდუმალ წიგნში დაინახეს ღმრთისა და მისი რჩეული ხალხის საქორწინო ურთიერთობის ალეგორია, სიტყვისა და სხეულის შეკავშირების იგავი, იესო ქრისტესა და ეკლესიის, ანუ ქრისტესა და ყოველი ადამიანის შეერთების (ერთქმნის) განმადიდებელი ჰიმნი.

ბიბლიაში შეინიშნება ამ იდეის თანდათანობით განვითარება. ახალი აღთქმის იგავებით (მათე 25, 1-13; მათე 22, 1-13) გაცხადებულია, რომ ღმერთი სწორედ ქრისტეში ხორციელდება სიძედ. ბიბლიამ ადამიანის სრულქმნის აღმნიშვნელ უნივერსალურ სიმბოლოდ ქორწინება მიიჩნია.

ახალმა აღთქმამ დაამკვიდრა სრულიად ახალი გაგება სიყვარულისა. ქრისტიანობა ღმერთის არსად აცხადებს სიყვარულს: „ღმერთი სიყვარული არს“ (1 იოანე 4, 8). ღმერთი, ანტიკური რელიგიის ღმერთებისგან განსხვავებით, მხოლოდ კი არ უყვართ, არამედ თვითონაა განმსჭვალული ყველას სიყვარულით. სიყვარული დაისახა ადამიანის მონოდებად, მისი ღირსების განმსაზღვრელად: „თქმულ არს: შეიყუარო მოყვასი შენი და მოიძულო მტერი შენი. ხოლო მე გეტყვ თქუნ: გიყუარდედ მტერი თქუენნი“ (მათე 5, 43-44).

სიყვარული ზნეობითი იერარქიის სათავეში მოექცა და უმთავრეს იდეალად გამოიკვეთა. პავლე მოციქულმა, რომელმაც სულისშემძვრელი ჰიმნი უძღვნა სიყვარულს (1 კორ. 13, 4-13), შემდეგი სიტყვებით დააგვირგვინა ის: „ხოლო ან ესერა ჰგიეს: სარწმუნოებაჲ, სასოებაჲ და სიყვარული, სამი ესე; ხოლო უფროჲს ამათსა სიყვარული არს“.

ახალი აღთქმის (და საერთოდ ბიბლიის) დამამთავრებელი წიგნი – გამოცხადება იოანესი (აპოკალიფსისი), რომელიც სამყაროს უკანასკნელ დღეს აღწერს, მთავრდება ახალი გალობით, რომელშიც მონანილეობს ურიცხვი რაოდენობა ანგელოზებისა, მათ გალობას უერთდება გალობა ყოველთა დაბადებულთა, „რომელნი არიან ცათა შინა და ქუეყანასა ზედა და უფსკრულთა შინა და ზღუათა“ (გამოცხ. 5, 13). ცოდვით დაცემის შედეგად დარღვეული ჰარმონია სამყაროსი უნდა აღდგეს, ამ ჰარმონიის საფუძვლად კი სიყვარულია მიჩნეული.



იოანეს გამოცხადება, რუსული ხატი, XVI ს.



ჯრუჭის II სახარება, XII ს.

ახალი აღთქმა დაედო საფუძვლად ახალ რელიგიას – ქრისტიანობას, რომელმაც თავის მხრივ ჩამოაყალიბა თვისებრივად ახალი საზოგადოებრივი ცნობიერება, ახალი საკულტო და კულტურული არქეტიპები. მათ ახალი კულტურის საფუძვლები განსაზღვრეს.

ქრისტიანობის ღმერთი – პიროვნული სამსახოვანი ერთარსება ღმერთი – არის აბსოლუტური ჭეშმარიტება, სიკეთე, მშვენიერება, სიყვარული, არაფრისგან ყოველივეს შემოქმედი. ადამიანი უმთავრეს ფასეულობად გამოცხადდა; ის შექმნილია ღვთის სახედ და ხატად, ანგელოზთა დარად მინიჭებული აქვს თავისუფალი ნება. ადამიანი პირველცოდვის შედეგად დასცილდა ღვთის ხატს. ადამიანი მოვალეა აღიდგინოს ღვთაებრივი ხატი. მაგრამ დაიბადა კითხვა: როგორ ეზიარება ადამიანი ღმერთს, თუ თვითონ ღმერთი არ შევა ადამიანში? ამიტომ მოხდა ღმერთის კაცქმნა, „ამისთვის ღმერთ-მამაკაცებრ მოქმედ იქმნა ზეშთა ღმერთთაჲ, რაჲთა კაცებრ უწყოდნის ვნებანი ჩუენნი და ღმრთეებრ იწსნიდეს ბრალთაგან, რომელთა ქალწულად ქადაგონ ქალწული დედაჲ,“ – იტყვის დავით აღმაშენებელი თავის განთქმულ სინანულის საგალობელში.

გავიხსენოთ ისიც, როგორ ესაუბრებოდა თავის ხალხს ილია ჭავჭავაძე, ერის მამად მიჩნეული დიდი მწერალი და მოაზროვნე: „ვით მამა ზეცისა იყავ შენც სრულიო“, უმოძღვრა კაცს და ამით გვამცნო, რომ კაცი შემძლებელ არს აღსვლად ღვთაების სისრულემდე. რაოდენი დიდებაა და პატივი კაცის ბუნებისა ამ ექვს სიტყვაში, ღვთის ბაგეთაგან წარმოთქმულში!.. იღვანე და ღვთის სისრულემდე შენც შეგიძლიან ახვიდე და მიაღწიოო. ესოდენი განდიდება და აღმატება ადამიანის ღირსებისა ჯერ მანამდე არა ადამიანს არ გაეგონა“.



სომხური ბიბლია, 1256 წ.

ქრისტიანულმა რელიგიამ განსაზღვრა სამყაროს მოდელი, ადამიანის როლი, ევოლუციის არსი. ყოველივე ეს კი საფუძვლად დაედო ამ კულტურის ეთიკურ და ესთეტიკურ პრინციპებს. მოძღვრება მშვენიერსა და ამაღლებულზე ერთნაირად განსაზღვრავდა არქიტექტურის, მხატვრობის, მუსიკის, სიტყვიერი და გამოყენებითი ხელოვნების რაგვარობას. ბიბლიურ მხატვრულ-სააზროვნო სივრცეში ჩამოყალიბდა მოტივები, თემები, სახე-სიმბოლოები, რომლებიც ევროპული ლიტერატურისა და ხელოვნების ნიშანსვეტებად იქცნენ.

ახალი აღთქმის სამყარო საუკუნეთა მანძილზე შთაგონების წყარო იყო მხატვრებისთვის, მოქანდაკეებისთვის, მწერლებისთვის, პოეტებისთვის, მუსიკოსებისათვის, არქიტექტორებისათვის, რენესანსის ეპოქამ ახალი სიცოცხლე მიანიჭა ბიბლიურ თემებს. მიქელანჯელო, რაფაელი, ტიციანი, ელ გრეკო, რემბრანდტი შედევრებს ქმნიდნენ ძველი და ახალი აღთქმის სიუჟეტებზე.

ბიბლიის კულტუროლოგიური მნიშვნელობა განუზომელია. ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს წიგნი მხოლოდ „სალმრთო“ დანიშნულებისა არ არის. ის იყო და არის „თვითმყოფადი პოეტური ქმნილება, ვრცელი ტილო, სადაც წარმოდგენილია სიტყვიერი შემოქმედების, დღესდღეობით არსებულის, თითქმის ყველა ჟანრი. იგი, შეიძლება ითქვას, თანამედროვე მსოფლიო მწერლობის უძველესი ქრესტომათიაა. აქ შევხვდებით ფოლკლორული წარმოშობის სანესჩვეულებო სიმღერებს, იგავ-არაკებს, შეგონებებს, ფილოსოფიურ ნაკვესებს, მითოსის ფრაგმენტებს, საისტორიო და საყოფაცხოვრებო-დოკუმენტურ პროზას, ნოველისტურ ამბებს, გოდებებს, საღვთო საგალობლებს, საგმირო ლექსებს, სატრფიალო ლირიკას, დიპლომატიურ მიმონერას, ორატორულ სიტყვას, პუბლიცისტიკასაც კი“ (ზ. კიკნაძე).

... ქართველი ხალხი ქრისტიან ერთა შორის დგას. ის ქრისტიანობის მიღებისთანავე დაენაფა ბიბლიას, ადრიდანვე გადმოთარგმნა მისი ცალკეული წიგნები (სახარება, ფსალმუნნი, წინასწარმეტყველები...). ჩვენამდე მოღწეული მთლიანი ბიბლია (ოშკის, იგივე ათონისა) კი 978 წლითაა დათარიღებული.

მარტვილის სახარება, 1050





პროექტი დაფინანსებულია აშშ-ის საელჩოს მიერ. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის თვალსაზრისს.

საქართველოში 4000-ზე მეტი სოფელი, 150-ზე მეტი ქალაქი და დაბაა, სადაც ასი ათასობით სკოლის მოსწავლე ცხოვრობს. სწორედ ეს ახალგაზრდები ჩაერთვებიან სულ მალე საქართველოს განვითარების საქმეში, ბევრი მათგანი კი, ალბათ, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საზოგადოებასა თუ სახელმწიფო სამსახურში.

ნებისმიერი საზოგადოება უნდა ცდილობდეს უკეთესი მომავალი თაობის აღზრდას, რომელიც წინა თაობების მიერ შექმნილ სულიერ და მატერიალურ დოვლათს არა მხოლოდ შეინარჩუნებს, არამედ გაზრდის და გაამდიდრებს კიდევ. სწორედ ამიტომ უნდა აქცევდეს განსაკუთრებულ ყურადღებას განვითარებული საზოგადოება და ბრძენი ხელისუფლება ბავშვების აღზრდასა და განათლებას. ადამიანი პიროვნებად ბავშვობიდან ყალიბდება, მისი ზნეობა და ცოდნა თავისთავად არ მოდის. ამას ემსახურება სკოლა, საბავშვო ლიტერატურა, აღზრდისა და კულტურის დაუფლების სხვადასხვა გზა. ვფიქრობთ, ამ მხრივ, მომავალი მოქალაქეების, მოღვაწეებისა და ლიდერების აღზრდაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს მოზარდებისათვის განკუთვნილი საკითხავი ლიტერატურა.

საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ცდილობს საკუთარი ადგილი მონახოს თანამედროვე მსოფლიოში, საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაში. ახალბედა სახელმწიფოსთვის ეს ადვილი საქმე არ არის. ქვეყანას სჭირდება განათლებული და სწორად აღზრდილი ადამიანები, რომლებიც ძალასა და ცოდნას არ დაიშურებენ ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვისა და წინ წაწევისათვის. ამისათვის კი, ყველაფერთან ერთად, მნიშვნელოვანია ახალგაზრდებს ხელი მიუწვდებოდეთ კარგ წიგნებსა თუ პერიოდულ გამოცემებზე, სადაც მათთვის საინტერესო საკითხებსა თუ თემებს მიაგნებდნენ თუ აღმოაჩენდნენ.

საქართველოში იყო რამდენიმე მცდელობა, გამოცემულიყო მოზარდებისათვის განკუთვნილი ჟურნალი, თუმცა უსახსრობის გამო ეს წამოწყება აღარ გაგრძელებულა.

წინამდებარე ჟურნალი, რომელსაც „ჩემი სამყარო“ დავარქვით, დიდი ხნის სურვილის ერთგვარი რეალიზაციაა. ეს უფროსკლასელთათვის განკუთვნილი გამოცემა, სადაც თავმოყრილია სხვადასხვა თემა, ეპოქა, პრობლემა, ვფიქრობთ, ვარკვეულწილად დაეხმარება დაინტერესებულ ახალგაზრდებს, რომ გაიღრმავონ ცოდნა, გაეცნონ ახალ-ახალ თემებსა და საკითხებს ან, თუნდაც, სხვაგვარად დაინახონ მათთვის კარგად ნაცნობი მოვლენები თუ პიროვნებები. ეს, ვფიქრობთ, იქნება მათი თვალთახედვის გაფართოების ერთგვარი საშუალება.

აქვე გვინდა გამოვხატოთ ჩვენი დიდი მადლიერება საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიმართ, რომელიც დიდი შემართებით შეხვდა ჩვენს წამოწყებას და საკუთარ თავზე აიღო კვარტალური ჟურნალის გამოცემის ხარჯები.

ამრიგად, უფროსკლასელთა სამსჯავროზე გამოგვაქვს „ჩემი სამყაროს“ პირველი ნომერი იმ იმედით, რომ მალევე შეიძენს ერთგული მკითხველების დიდ წრეს.

ალექსანდრე რონდელი



საპატრულო სპეციალური და საპროცესინო პოლიციისათვის კვლევის უცნობი

ჟურნალი მოამზადა საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდმა.

ყველა უფლება დაცულია ©

მთავარი რედაქტორი: ალექსანდრე რონდელი

რედაქტორ-კორექტორი: რუსუდან მარგიშვილი

დიზაინი და დეკორაცია: მართა თაბუკაშვილი

სარედაქციო კოლეგია: ვლადიმერ პაპავა, ეკატერინე მეტრეველი, ნინო რამიშვილი, მერაბ კაკულია, კახა გოგოლაშვილი

სტატიების ავტორები:

ვლადიმერ პაპავა

თორნიკე შარაშენიძე

გიორგი ხელაშვილი

ლევან ბერძენიშვილი

ლევან გიგინეიშვილი

ლაურა გრიგოლაშვილი

ალექსანდრე რონდელი

რისმაგ გორდეზიანი

ჩვენი მცდელობის მიუხედავად, ვერ მოხერხდა ჟურნალში გამოყენებული ზოგიერთი ფოტოს საავტორო უფლების მფლობელის ვინაობის დადგენა, გამოსმაურების შემთხვევაში გამომცემელი მზადაა დაიცვას საავტორო უფლებები.

ჟურნალის ელექტრონული ვერსია იხ. ვებგვერდზე: www.gfsis.org